ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ს 19/011715126 44-17

"08" 08 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ჩარგალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქ. თბილისში, ქუჩა ჩარგალი, მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა "აგატს" შორის (საკ. კოდი №01.12.04.003.076) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (მაღაზია, აფთიაქი, კაფე, სასტუმრო) შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2815393 05.09.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ჩარგალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქ. თბილისში, ქუჩა ჩარგალი, მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა "აგატს" შორის მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია რელიეფის დახრა. ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. გაუქმებულია გამწვანების ზოლი. ტერიტორიაზე ნაწილობრივ შეცვლილია საყრდენი კედლების ფორმა. ფასადებზე კონდიციონერის გარე ბლოკებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი და მოსაწყობია რკინის მილკვადრატების ცხაურები.

„ზ-ე" ფასადზე: ზ-ა მონაკვეთში დამხმარე ნაგებობაზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. სახურავზე შემცირებულია გამწოვი მილების სიმაღლე. ა ღერძისკენ დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. ა-ე მონაკვეთში ვიტრაჟებთან მოწყობილი კედლები შეფუთულია ალუკაბონდით. ა-ბ, ბ-გ და დ-გ მონაკვეთებში შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე. დ-ე მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +18.8 ნიშნულზე შეცვლილია კიბის სათავსოში შესასვლელი კარ-ვიტრაჟის ნახატი. +22.6 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია რიგელი. +5.40 ნიშნულიდან +18.3 ნიშნულამდე აივნებზე გაუქმებულია ეკლარის ქვით მოპირკეთება.

„1-3" ფასადზე: +18.8 ნიშნულზე შეცვლილია წყალშემკრები მილის ფორმა. +18.8 ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში შეცვლილია კიბის სათავსოში შესასვლელი კარ-ვიტრაჟის ნახატი.

„ე-ზ" ფასადზე: დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +23.2 ნიშნულზე დ-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები.

„3-1" ფასადზე: 3-2 მონაკვეთში +2.9 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. 3 ღერძისკენ +2.90 ნიშნულთან დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი და აღნიშნულ მონაკვეთში კედლის ნაწილი მოსაპირკეთებელია. +18.8 ნიშნულზე 3-2 მონაკვეთში შეცვლილია კიბის სათავსოში შესასვლელი კარის ნახატი და მასალა.კარის მარცხნივ გაუქმებულია წყალშემკრები მილი. 2 ღერძისკენ შეცვლილია შახტის მდებარეობა. 3 ღერძზე შეცვლილია წყალშემკრები მილის ფორმა.

„გეგმების მიხედვით": 1-1 ღერძზე ა-ე მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების სიმაღლე. ა-ბ 3-2 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გადახურვის ფილა რის გამოც მოეწყო დამატებით ანტრესოლი. აღნიშნულ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბე. აღნიშნულ ანტრესოლზე და კიბეზე არ არის მოწყობილი მოაჯირები. 2-3 დ-ბ მონაკვეთებში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

საყრდენი კედლის ნაწილი ცდება საკადასტრო საზღვარს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი

პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "კოლხი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ქუჩა ჩარგალი, მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქ. თბილისში, ქუჩა ჩარგალი, მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა "აგატს" შორის (საკ. კოდი №01.12.04.003.076) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (მაღაზია, აფთიაქი, კაფე, სასტუმრო) შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171512644-17 31.05.2017წ. განცხადება.
№წ-19/01171512644-17 01.06.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე